



MES 2 20 0000522330



26/06/2020

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 12.06.2020

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 17:23 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული

სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
8. **ეკა ევალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

9. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასხედიაანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

სხდომაზე დამსწრე დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	შორენა სამაგლიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
2	მამუკა ნადარეიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
3	გიორგი გვალია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	III
4	მაკა ლაშხია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
5	ზიგად ზალიკიანი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კურიკულუმის ექსპერტი	III
6	ნათია გოლიაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი	III
7	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
8	ნანა ბერიკაშვილი	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
9	თამარ ვეფხვაძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის განმახორციელებელი პირი, ლექტორი	IV

10	ნატო გენგიური	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
11	ქეთევან ელაშვილი	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის განმახორციელებელი პირი	IV
12	თეონა ხუფენია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	V
13	ბელა მოსია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
14	ქეთევანი ლატარია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	V
15	ასმათ შონია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V
16	გოდერძი ტყემელაშვილი	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტი“ ხელმძღვანელი	V
17	ლალი ბერანძე	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	იაგო კაჭკაჭიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
2	ნინო შატბერაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
3	ჯინა შოგირაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V
5	ელენე კიკალიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბერის №275 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი;
2. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბერის №276 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური მუშაობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი

1. პირველი საკითხი: „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბერის №275 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა დიმიტრი გეგენავა.

თვითაცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

2020 წლის 25 მარტს MES 9 20 00317403 წერილით სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მომართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბრის №275 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე 2019 წლის 24 დეკემბრის N275 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ტექნიკური ხასიათის ცვლილებები:

1. გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე“.

2. გადაწყვეტილების 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1 2019 წლის 19 ივლისს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის N968851; N969668, 2019 წლის 19 ივლისი) „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე“.

3. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2019 წლის 19 ივლისის N968851; N969668 სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი N1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია“.

4. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი N2).“

5. გადაწყვეტილების დანართი N1-ის პირველ პუნქტში ნაცვლად „კომპიუტერული მეცნიერებებისა“ მიეთითოს „კომპიუტერული მეცნიერება“.

6. გადაწყვეტილების დანართი N1-ის მე-8 პუნქტში ნაცვლად „კომპიუტერული მეცნიერებების ბაკალავრი“ მიეთითოს - „კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი“.

2. მეორე საკითხი: „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბერის №276 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა დიმიტრი გეგენავა.

თვითაცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

2020 წლის 25 მარტს MES 9 20 00317403 წერილით სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მომართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბერის №276 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ საკითხი.

1. სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2019 წლის 19 ივლისის N968851; N969668 სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი N1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია“.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბერის №275 „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე“ გადაწყვეტილებასა და 2019 წლის 24 დეკემბერის №276 „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ გადაწყვეტილებებში განხორციელდა ტექნიკური შეცდომის გასწორება.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მუშაობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მუშაობის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 (სასწავლო კომპონენტი)
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი, №3/5
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა ნინო დობორჯგინიძემ.

თვითაცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მოკლედ მოეხსენებინათ და წარმოეჩინათ ძირითადი საკითხები და რეკომენდაციები.

ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტმა იაგო კაჭკაჭიშვილმა განმარტა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა. პროგრამა შეფასდა 5 საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით, 5-დან 4 სტანდარტში წარმოდგენილი პროგრამა სრულად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, რაც შეეხებოდა ერთ სტანდარტს, კერძოდ ეს იყო სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისება, შეფასების ადეკვატურობა, ამ სტანდარტთან დაკავშირებით პროგრამა მეტწილად იყო შესაბამისობაში აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნებთან. საბოლოო ჯამში, სადოქტორო პროგრამა „სოციალური მუშაობა“ აკმაყოფილებს აკრედიტაციის ძირითად მოთხოვნებს. ამის მიუხედავად კომისიამ პროგრამის მიმართ განსაზღვრა ორი რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა, კერძოდ 7 რჩევა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა საპასუხო წერილში გაიზიარა ექსპერტთა ერთი რეკომენდაცია, ორ რეკომენდაციაზე ითხოვა, რომ ექსპერტებს

რჩევაში გადაეტანათ, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის შეთანხმებითა და გადაწყვეტილებით ერთი რეკომენდაცია გადავიდოდა რჩევაში, ხოლო მეორე რეკომენდაცია დარჩებოდა ისევ რეკომენდაციად.

პირველი რეკომენდაციით, სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაში მკაფიოდ იყო ჩასაწერი, რომ 5 წლიანი პრაქტიკის გამოცდილება სოციალური მუშაობის მიმართულებით პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო წინაპირობა იყო. ეს ეხებოდა იმ აპლიკანტებს, რომელთაც არ გააჩნდათ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სოციალურ მუშაობაში. ანუ ყველა ის ადამიანი, რომელიც მოინდომებდა სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვას და არ ექნებოდა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სოციალურ მუშაობაში, ვალდებული იყო ჰქონოდა 5 წლიანი გამოცდილება სოციალური მუშაობის პრაქტიკის მიმართულებით. მისი თქმით, სხვათაშორის ეს არ იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წამოჭრილი რეკომენდაცია, ეს წინაპირობა თავად პროგრამაში იდო, მაგრამ ცოტა ბუნდოვნად, არა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად. ამიტომ კომისიამ მოითხოვა, რომ ეს მოთხოვნა მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ყოფილიყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ჩაწერილი. ექსპერტის თქმით, როდესაც მათ მიიღეს უკუკავშირი, დაწესებულებამ სრულად გაიზიარა კომისიის ეს რეკომენდაცია.

მეორე რეკომენდაციით, მიზანშეწონილი იყო მომხდარიყო ზოგიერთი კურსის სილაბუსის რევიზია, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სილაბუსებს შორის გადაფარვები და თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტებს მიეღოთ თვისობრივად ახალი ცოდნა. ეს ეხებოდა შემდეგ კურსებს შორის მიმართებას: სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები, ეს იყო სავალდებულო კურსი და ორი სავალდებულო არჩევითი კურსი, თვისებრივი კვლევის მეთოდები და სტატისტიკური მოდელირება, იგივე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სავალდებულო არჩევითმა კურსებს არ უნდა გაემეორებინათ ძირითადი მეთოდების, როგორც რაოდენობრივის, ისე თვისებრივის აღწერა, არამედ კიდევ უფრო მეტად უნდა ფოკუსირებულიყო მონაცემთა ანალიზის მეთოდების სიღრმისეული შესწავლაზე. დაწესებულებამ უკუკავშირში კომისიას სთხოვა, რომ ეს რეკომენდაცია გადაეტანა რჩევაში, თუმცა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს დარჩენილიყო რეკომენდაციაში და იქვე, უკუკავშირის დოკუმენტში, დაწესებულებამ წარმოადგინა სილაბუსების რევიზიის გეგმა. კომისია გაეცნო იმ გეგმას და გაიზიარა აღნიშნული რევიზია, მაგრამ მათ მაინც დატოვეს რეკომენდაციაში, რადგან ის პროგრამა იმ სახითაც რა სახითაც შეფასდა სილაბუსების რევიზიას, რომელიც შემდეგ განხორციელდა არ ითვალისწინებდა. ამდენად, მათ მაინც დატოვეს რეკომენდაციაში იმ მოლოდინით, რომ სილაბუსების რევიზიის გეგმა, რაც დაწესებულებამ წარმოადგინა განხორციელებულ იქნებოდა.

ეს იყო ორი რეკომენდაცია, რაც კომისიამ წარმოადგინა და თუ საჭირო იქნებოდა ექსპერტები ასევე წარმოადგენდნენ რჩევას პროგრამის განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხატა ბატონ იაგოს. თავმჯდომარის თქმით, ექსპერტის საუბრიდან გამომდინარეობდა, რომ დაწესებულების მიერ ორივე რეკომენდაცია იყო გაზიარებული, ეს იმას ნიშნავდა, რომ მზადყოფნა იყო დაწესებულების მხრიდან.

საჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.

ქალბატონი შორენა სამაგლიშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი, მიესალმა საბჭოს. მისი თქმით, სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა შემუშავებული იყო საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რომელიც შემუშავდა 2014-2015 წლებში, როდესაც მან მიიღო Fulbright-ის გრანტი და იმ გრანტის ფარგლებში მის მენტორთან ერთად მუშაობდა პროგრამის განვითარებაზე. მათი მხარდაჭერით მათ ასევე მიიღეს კვლევითი გრანტი რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან და სწორედ იმ ფუნდამენტური გრანტის დახმარებით მათ დააფუძნეს უნივერსიტეტში კვლევითი ცენტრი, ეს იყო სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრი და სწორედ ამან მისცა მათ საშუალება, რომ სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა გამოსულიყო, როგორც დამოუკიდებელი პროგრამა, რომელსაც აქვს, ძლიერი სამეცნიერო კვლევითი ბაზა. სწორედ მათი

კვლევით თანამშრომლობის ფარგლებში, პროგრამას ჰყავდა კონსულტანტები, რომლებიც თანახელმძღვანელობას უწევდნენ და მომავალშიც გაუწევდნენ დოქტორანტებს და სწორედ ეს იყო პროგრამის ძალიან ძლიერი მხარე, რომელიც საშუალებას აძლევდა მყარად დამდგარიყვნენ ამ მიმართულებით. მისი თქმით სადოქტორო პროგრამის მთავარი ღირსება, იყო ის რომ პროგრამას ჰქონდა ძლიერი სამეცნიერო ტექნიკური ბაზა. ასევე ისინი რამოდენიმე საერთაშორისო კვლევითი პროექტის მონაწილეები იყვნენ, სადაც ჩართულნი იყვნენ დოქტორანტები. მათთვის ტარდებოდა კოლოქვიუმები, კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების და ასევე შესაძლებლობა იყო სტუდენტებს თავიანთი ნაშრომების გარე რეფერირება მოეხდინათ. ასევე პროგრამა 2 საერთაშორისო ქსელის წევრი იყო, საერთაშორისო სკოლების ასოციაციის და ევროპის სოციალური კვლევების ასოციაციის. ისინი მათთან ერთად ჩართულები იყვნენ სხვადასხვა კვლევით პროექტის განხორციელებაში. რაც შეეხებოდა პირველ რეკომენდაციას, ეს იყო ლინგვისტური საკითხი და სუბიექტური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა და პროგრამა აღწერდა იმას, თუ რა პირობები უნდა დაეკმაყოფილებინა კანდიდატს და ეს ასე გამოიყურებოდა: პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონოდა მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ მუშაობაში ან მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ჯანდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობაში, სოციალურ ქცევით მეცნიერებებში და 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება სოციალური მუშაობის სფეროში. რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას ამაზე მათი პროგრამის პროფესორები უპასუხებდნენ.

ქალატონი ირმა კირთაძე მიესალმა კოლეგებს. ის იყო იმ ერთ-ერთი საგნის წამყვანი პედაგოგი, რომელსაც ექსპერტების დაწესებულებაში მისვლისას ერქვა თვისობრივი კვლევის მეთოდები. მისი თქმით, ამ საგნის სილაბუსი მისი მომზადებული იყო. დისკუსია კი როდესაც ექსპერტებთან შედგა შეხვედრა მაშინაც იყო. თუმცა ბატონმა იაგომ გამოთქვა მოსაზრება, რომ მისი საგანი ერთმნიშვნელოვნად ფოკუსირებული იყო ანალიზზე და ისინი შეთანხმდნენ იმაზე, რომ ერთგვარი “ვორდინგში” შესწორებების სახით შესულიყო ცვლილებები, რომლიც არ მისცემდა სილაბუსის მკითხველს ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას. სინამდვილეში ის საგანი, რომელსაც ქალბატონი შორენა კითხულობს მასთან გადაფარვა არანაირად არ იყო, ერთი იმიტომ, რომ ქალატონი ირმა კირთაძის საგანი უშუალოდ ანალიზზე იყო ფოკუსირებული, იმ საგნის ლოგიკური გაგრძელება და სიღრმისეული შესწავლა იყო. იგი განსხვავდებოდა თუნდაც გამოყენებული ლიტერატურით რასაც ქალბატონი შორენა იყენებდა მის საგანში და ის შედეგები რასაც საგნები იძლეოდა. სილაბუსი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ქალატონი ირმა კირთაძის მიერ მომზადებული სილაბუსის შედეგებისგან. აქ საკითხი იყო სიტყვების ფორმულირების ცვლილებაზე, რაზეც პროგრამის ხელმძღვანელობა დათანხმდა. ეს გამორიცხავდა სხვა მკითხველისთვის ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას. მაგალითისთვის, სილაბუსს შეეცვალა სახელი და მას დაერქვა თვისობრივი ანალიზი. ამიტომ ამ ორი საგნის შედეგები განსხვავდებოდა. ასევე განსხვავდებოდა ლიტერატურა რაც იყო გამოყენებული სწავლის დროს. მისი თქმით მათ შორის გადაფარვა გამორიცხული იყო.

მამუკა ნადარეიშვილის თქმით, ერთ-ერთი სილაბუსი - ეფექტური მოდელირება მისი გაკეთებული იყო, რომელზეც საუბარი იყო ექსპერტებთან შეხვედრის დროს. რაც შეეხებოდა გადაფარვას, მისი აზრით აქ არ იყო გადაფარვა. მისი თქმით იქ იყო ტერმინი - რეგრესიული ანალიზი, რომელიც ხვდებოდა სილაბუსში თუმცა ქალბატონი შორენას სილაბუსი ჩამოთვლიდა 10 კვირის თემას, რომელშიც ნახსენები იყო ტერმინი: სტატისტიკა და დასკვნითი სტატისტიკა, რეგრესიული და ფაქტორული ანალიზი, მეორადი მონაცემები და ოფიციალური სტატისტიკა. ეს იყო იმ კვირის ჩამონათვალი, რომელიც განიხილებოდა იმ სილაბუსის მიხედვით. ამ ჩამონათვალიდან უკვე ჩანდა, რომ მეორე საკითხი იყო მხოლოდ ცნების დონეზე, მისი თქმით აქ შეიძლება ჩაწერილიყო რეგრესიული და ფაქტორული ანალიზის მიმოხილვა ან შესავალი, რადგან ბუნებრივი იყო, რომ ამდენ თემას ერთ კვირაში სიღრმისეულად ვერ განიხილავდნენ. მაშინ როდესაც მის მიერ შედგენილ სილაბუსში იმ თემას - რეგრესულ მოდელებს ეთმობოდა 4

კვირა. ეს იყო საგნის ერთ-ერთი მთავარი თემა და ის განხილული იყო მაგალითებით. მისი აზრით ის რომ საქმე შეეხებოდა გადაფარვას ის არ ეთანხმებოდა, თუმცა კი შეიძლებოდა ცოტა თემატიკის სათაურის შეცვლა თუ რასაკვირველია ის აუცილებელი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს ჰკითხა ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ პროგრამას გაეცნო, ნამდვილად საინტერესო იყო და ძალიან საჭირო. მან თქვა, რომ გაცნობის მომენტში მას გაუჩნდა რამდენიმე შეკითხვა თუმცა შემდგომ როდესაც უკვე გაეცნო პროგრამას, შემდგომ კი შეფასებას და ექსპერტების დასკვნას, ის კითხვები სრულად იყო პასუხგაცემული. აღნიშნული პოზიციები მისთვის მისაღები იყო თუმცა ერთ სილაბუსთან დაკავშირებით გაუჩნდა კონკრეტული კითხვა და იმედი ჰქონდა განმარტებას მისცემდნენ. საგანში კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში მისი თქმით, ქართულენოვანი ლიტერატურა მთლიანად შეეხებოდა სასკოლო განათლებას. ერთ-ერთ წიგნში პირდაპირ იყო მითითებული, რომ ეს იყო პედაგოგების სამაგიდო წიგნი, რომელიც საშუალებას აძლევდა პედაგოგებს საინტერესო გაეხადათ გაკვეთილი მისი მოსწავლეებისათვის. ასევე იქ იყო სხვა წიგნებიც რომელიც ორიენტირებული იყო სასკოლო განათლებაზე. სოციალური მუშაკისთვის სასკოლო განათლების არ ქონა წარმოუდგენელი იყო. მისი კითხვა იყო, ის კონკრეტული სილაბუსი ემსახურებოდა კურიკულუმის განვითარებას უმაღლეს განათლებაში მასწავლებლების მომზადების პროცესში თუ უმაღლეს განათლებას გულისხმობდა. რადგან მისი თქმით ეს საკითხი სილაბუსთან შესაბამისობაში ვერ მივიდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ის კურსი კურიკულუმის განვითარებისთვის იყო შექმნილი, ანუ სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისთვის და ის არ ითვალისწინებდა მხოლოდ მასწავლებლების მომზადების პროგრამის ან სადოქტორო საფეხურის სპეციფიკას. მისი თქმით ამ კურსში ძირითადი ფოკუსი კეთდებოდა სწავლების სტრატეგიებზე და მეთოდებზე, რომლებიც ნებისმიერი კლასისთვის იყო მისაღები არამხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო, ნებისმიერ სივრცეში სადაც ხდებოდა ინსტრუქტაჟი და სწავლის მეთოდები იყო რელევანტური სხვადასხვა პროგრამის კონტექსტებისთვის. იქ არ იყო საუბარი, რომ ისინი ასწავლიდნენ სოციალური მუშაობის სწავლების მეთოდებს, იქ საუბარი იყო თანამედროვე მეთოდების სწავლებაზე. ისინი ასწავლიდნენ თუ როგორ ესწავლებინათ. ამიტომ ეს კურსი უფრო ტრანსფერულ უნარებზე იყო ორიენტირებული და ემსახურებოდა ცოდნის ტრანსფერს აუდიტორიაში. ამის გარდა, მათ ის კომპონენტი კიდევ უფრო გააძლიერეს და გარდა ექვს კრედიტიანი ფორმალური კურსისა, უნივერსიტეტში ასევე იყო ტრენინგ-მოდელები, რომლებიც ორიენტირებული იყო მხოლოდ აქტიური სწავლების მეთოდებზე თანამედროვე გზების გამოყენებით, მათ შორის ონლაინ სწავლების მეთოდები და ეს არ იყო ერთადერთი შესაძლებლობა რაც იყო შეთავაზებული სტუდენტისთვის.

გიორგი თურქიას თქმით მან ვერ გაიგო პირველი რეკომენდაციის შინაარსი, თუ ზუსტად რას ნიშნავდა სოციალური კვლევა.

სხდომაზე განიმარტა, რომ პროგრამაში ეწერა, რომ დოქტორანტები კურსდამთავრებულები ახორციელებდნენ კვლევას, მაგრამ კვლევა ემსახურებოდა კონკრეტულად ამ პოლიტიკის ცვლილებას ან გაუმჯობესებას, ამიტომ უმჯობესი იყო სტუდენტები მოსულიყვნენ გამოცდილებით, მაგრამ მისი თქმით ისინი არ ღებულობენ ნებისმიერს, რომელსაც ექნებოდა სოციალური სფეროში პრაქტიკული გამოცდილება, რადგან აუცილებელი იყო სოციალური და ჯანდაცვის მეცნიერებების მიმართულებით მაგისტრატურის ხარისხის ქონა.

ქალბატონი ნინო შატბერაშვილის განმარტებით, პრაქტიკა არ ნიშნავდა აუცილებლად უშუალო პრაქტიკას შეიძლება ეს ყოფილიყო კვლევითი სოციალური მუშაკი და ის თანახმა იყო, რომ დაკონკრეტებულიყო კონკრეტული მიმართულება. ამაში იგულისხმებოდა აუცილებლად პროფესიული პრაქტიკა და მისი აზრით დაკონკრეტებულ ჩანაწერს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამაში ჩაამატებდა.

საბჭოს წევრი დიმიტრი გეგენავას თქმით, ამ შემთხვევაში სიტყვაწყობის დაკონკრეტება ნამდვილად არ იყო საჭირო. სოციალური მუშაობა და ზოგადად სოციალური სამუშაო განათლების მხრივაც განსაკუთრებულ კონტროლს დაქვემდებარებული დარგი იყო და ზუსტად იყო გათვალისწინებული თუ რა იგულისხმებოდა. სოციალური აგენტი და სოციალური მუშაობა აბსოლუტურად სხვადასხვა კატეგორიები იყო. სოციალური მუშაობა როგორც ასეთი ტერმინი, დეფინიცია განათლების სისტემაში არსებობდა და ამიტომ მისი დაკონკრეტება საჭირო არ იყო. რა თქმა უნდა სოციალური მუშაობა ნიშნავდა პრაქტიკულ სამუშაოს, ისე კვლევითი და პოლიტიკური სამუშაოსაც და ის აბსოლუტურად ეთანხმებოდა როგორც დაწესებულებას ასევე ექსპერტებს. მისი თქმით, იმდენად მგრძობიარე და იმდენად ფაქიზი თემა იყო, რომ თუ აპლიკანტს შეხება არ ჰქონია პრაქტიკაში ამ სფეროსთან, გამორიცხული იყო მას სასარგებლო კვლევა დაედო. ეს გამოყენებითი მეცნიერების დარგი იყო, ამიტომ ეს მიღების წინაპირობა აბსოლუტურად ლოგიკური იყო. უბრალოდ “და” და “ან” კავშირის დაზუსტებას ითხოვდა. სხვა მხრივ დაწესებულების პოზიცია ლეგიტიმური იყო, რა თქმა უნდა პროგრამაზე წინაპირობა უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ ის არ იყო ტიპური კვლევითი პროგრამა თუნდაც პრაქტიკული პროგრამა ეს არ იყო ინტერდისციპლინური, გამოყენებითი, პრაქტიკული, ძალიან სპეციფიკური დარგი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა და შესაბამისად ის ფიქრობდა, რომ მეტი დაკონკრეტება საჭირო არ იქნებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს ჰკითხა ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ მას სურდა ესაუბრა ორივე რეკომენდაციასთან დაკავშირებით. გადაფარვეთან დაკავშირებით, მისი თმით, არცერთი სახელმძღვანელო, არცერთი სამეცნიერო სტატიების არცერთი გვერდი არ იმეორებდა მეორეს, ის რომ სიტყვების დონეზე, თუ დასახელებები მეორდებოდა რთული იქნებოდა ამისთვის თავი აერიდებინათ. რადგან გადაფარვა არ იყო არც ერთ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც სტატიების ისე სახელმძღვანელოების თვალსაზრისით, ის რომ დასახელებაში ნახსენებია რომელიმე მეთოდი, რთული იქნებოდა ამისთვის გვერდის ავლა. მას გადაფარვა ესმოდა, როდესაც ერთი და იგივე სტატია, ან ერთი და იგივე თავი სამეცნიერო ლიტერატურიდან მეორდებოდა ორ საგანში. თუმცა ცხადი იყო, რომ ყველას თავისი პოზიცია ჰქონდა. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა თავისი არგუმენტირებული პოზიცია, რაც შეეხებოდა პირველ რეკომენდაციას, დაწესებულების ფორმულირება წინაპირობასთან დაკავშირებით, საჭირო იყო 5 წლიანი სავალდებულო სტაჟი, მათთვის ვისაც ჰქონდა მონათესავე, ასე ვთქვათ სოციალური ან ფსიქოლოგიის მეცნიერებებში ხარისხი. იქ რომ ის მკაფიო არ იყო, ანუ არ ეწერა ვისთვის არ იყო საჭირო, შეიძლება მათ უკეთესი ფორმულირება შემოეთავაზებინათ.

დიმიტრი გეგენავას თქმით, გადაფარვასთან დაკავშირებით ფორმულირება შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო ისე, როგორც გამოჩნდა, ანუ დაზუსტებულიყო და დაკონკრეტებულიყო ის საკითხები, რომლებსაც ეხებოდა კონკრეტულად ის თემა იმ სილაბუსის კვირაში, რაზეც ისაუბრეს თავად სილაბუსის ავტორებმა, რომ ეს არანაირი პრობლემა არ იყო და ჩაიშლებოდა სიღმისეულად, იმისთვის, რომ გამოჩენილიყო, რომ გადაფარვა არ ხდებოდა. ეს სტუდენტისთვის და მესამე პირებისთვისაც აღსაქმელად უკეთესი იქნებოდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაში ჩაიწეროს მკაფიოდ, რომ ხუთწლიანი გამოცდილების ქონა სოციალური მუშაობის პრაქტიკის მიმართულებით არის სავალდებულო წინაპირობა სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვისთვის, როდესაც საქმე ეხება აპლიკანტებს, რომელთაც არ გააჩნიათ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სოციალურ მუშაობაში. .

ბ) მიზანშეწონილია, რომ მოხდეს ზოგიერთი კურსის სილაბუსის რევიზია, რათა თავიდან იქნეს აცილებული სილაბუსებს შორის გადაფარვები და თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტებმა მიიღონ ახალი ცოდნა. ეს ეხება შემდეგ კურსებს შორის მიმართებას: ა) სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები (სავალდებულო); ბ) თვისებრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულო-არჩევითი) და გ) სტატისტიკური მოდელირება (სავალდებულო- არჩევითი). სავალდებულო-არჩევითმა კურსებმა არ უნდა გაიმეოროს ძირითადი მეთოდების (რაოდენობრივი და თვისებრივი) აღწერა, არამედ კიდევ უფრო მეტად უნდა ფოკუსირდეს მონაცემთა ანალიზის მეთოდების სიღრმისეულ შესწავლაზე.

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიანიჭა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2013 წლის 2 მაისი, N64 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	კვალიფიკაციის დასახელება	-
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0108 , რუსთაველის გამზირი N19
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მოკლედ მოეხსენებინათ და წარმოეჩინათ ძირითადი საკითხები და რეკომენდაციები.

ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიხეილ გიორგაძე მიესალმა დამსწრეებს და მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს თანამშრომლობისთვის და პოზიტიური უკუკავშირისთვის, რომელიც თავად უკუკავშირის წერილში აისახა. მას სურდა რამოდენიმე ფაქტორზე გაემახვილებინა ყურადღება, რომელიც საბჭოს დაეხმარებოდა გადაწყვეტილების მიღებაში. პირველ რიგში, ეს იყო ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2013 წელს, ანუ უნივერსიტეტში ეს პროგრამა 2013 წლიდან არსებობდა, თუმცა აკრედიტაციის ამ ციკლის განამავლობაში პროგრამას ჰყავდა მხოლოდ ერთი სტუდენტი, რომელმაც დაამთავრა პროგრამა და შესაბამისად ჰყავს ერთი კურსდამთარებელი. აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა დასკვნის გამოტანა, რომ ამ უნივერსიტეტს ამ პროგრამის მწირე გამოცდილება ჰქონდა, შესაბამისად ეს გააზრებული იყო უნივერსიტეტის მხრიდან და ის თანამშრომლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და იზიარებდა მის გამოცდილებას. რაც შეეხებოდა მეორე ფაქტორს, მეორე ფაქტორში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მიუხედავად იმის, რომ გარკვეული რესურსები ჩადო უნივერსიტეტმა პროგრამის მომზადებაში უნივერსიტეტის ადმინისტრაცია თვლიდა, რომ უფრო რელევანტური იქნებოდა თუ პროგრამას განახორციელებდა ის უნივერსიტეტი, რომელსაც ამ პროგრამის უფრო დიდი გამოცდილება ჰქონდა და შესაბამისად,

სტუდენტებს რომლებსაც სურდათ თეატრალურ უნივერსიტეტში ჩაებარებინათ, მათ შეეძლოთ პარტნიორ უნივერსიტეტებში გაეარათ მოსამზადებელი პროგრამა და შემდეგ ჩარიცხულიყვნენ თეატრალურ უნივერსიტეტებში. ამის განხორციელების შესაძლებლობას არ იძლეოდა კანონი, ეს უნივერსიტეტს ესმოდა, მიუხედავად ამისა ისინი მზად იყვნენ თუნდაც ერთი სტუდენტის შემთხვევაში განეხორციელებინათ პროგრამა, მაგრამ მათი სურვილია, რომ შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულიყო უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, რომ ასეთი მოდელის პროგრამის განხორციელების ასეთი შესაძლებლობა მიეცემოდათ.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, ის დააჯგუფებდა რეკომენდაციებს. ერთის მხრივ ექსპერტებმა დაინახეს, რომ პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში და შემდეგ პროგრამის სასწავლო კურსების შედეგებს შორის არ იყო თანხვედრა. მაგალითად, ერთ-ერთი იყო ცოდნის სფეროში შემდეგი სწავლის შედეგი, ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა გაცნობა და ეს ასპექტები იყო პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვა. მათ მიაჩნდათ, რომ ენობრივი ნასესხობანი - ამ კომპეტენციის შექმნა 1 წლიან ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში ცოტა რთული იყო და ის უფრო რელევანტური იქნებოდა ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებთან ვიდრე მოსამზადებელი პროგრამის სწავლის შედეგებთან. მაგალითად, ასეთი სწავლის შედეგი იყო საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის სხვადასხვა ტექსტების რედაქტირების, კომენტირების და ანოტირების უნარი. ისინი ფიქრობდნენ, რომ ტექსტის ანოტირების უნარი საკმაოდ რთული პროცესი იყო და მოითხოვდა ენის ძალიან კარგ ცოდნას და მათ ეჭვი ეპარებოდათ, რომ ისინი ერთწლიანი პროგრამის ფარგლებში მომხდარიყო ენის იმ დონის შესწავლა, ანუ ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით ეს უფრო C დონის შესაბამისი კომპეტენცია იყო ვიდრე თუნდაც B2 დონის კომპეტენციის. ეს რაც შეეხებოდა სწავლის შედეგებს. ასევე პროგრამის ერთ-ერთი მიზანი უნივერსიტეტს გაცხადებული ჰქონდა, რომ სტუდენტი უნდა უზრუნველყო შეაბამისი ცოდნით, რომ მას შეეძლებოდა სხვა ენების დამოუკიდებლად შესწავლა. ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ სხვა ენის დამოუკიდებლად შესწავლის პროცესი ვერ შეფასდებოდა პროგრამაზე სწავლის პერიოდში, ეს ცდებოდა პროგრამის მიზნებს, ვერ მოხერხდებოდა პროგრამაზე სწავლის პერიოდში ამ კომპეტენციაზე მუშაობის პროცესზე დაკვირვება, სწავლის შედეგების შეფასება და შესაბამისად ის ცდებოდა პროგრამის მიზნებს და მათ მიაჩნდათ, რომ ეს სწავლის შედეგი უნდა ამოღებულიყო პროგრამიდან.

ხოლო რაც შეეხებოდა ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, ის წაიკითხავდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 47³-ე მუხლის 5-ე პუნქტს, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებდნენ სწავლას სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული იყვნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაეველოთ შესაბამისი კონკურსი სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. მათ ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის პოზიცია იცოდნენ, გარკვეულწილად ესმოდათ მათი, თუმცა ამ შემთხვევაში დაელოდნებოდნენ მათ პოზიციას და არ გააჟღერებდნენ, თუმცა მან თქვა, რომ მან ცენტრთანაც გაიარა ამ ნაწილთან დაკავშირებით კონსულტაცია და იქიდან გამომდინარე, რომ კანონი ცალსახად განსაზღვრავდა ამ რეგულაციას შეთანხმდნენ, რომ ეს რეკომენდაცია მინც დაეტოვებინათ. უბრალოდ, მათი რეკომენდაცია უკავშირდებოდა იმას, რომ პროგრამის წინაპირობაში მსგავსი ვალდებულება არ იყო განსაზღვრული, მაგალითად არ იყო განსაზღვრული როგორ აპირებდა და როგორ უზრუნველყოფდა უნივერსიტეტი ქართულ ენაში მომზადების პროგრამის აბიტურიენტების ჩართვას სახელოვნებო შემოქმედებით ტურებში. მან თქვა, რომ ექსპერტებს არ ესმოდათ და ასევე მის კომპეტენციასაც ცდებოდა ის, რომ მაგალითად რაში მდგომარეობდა ასეთი ტურების სპეციფიკა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ენობრივი კომპეტენცია ასეთი ტურების წარმატებით გავლისთვის და ა.შ. აქედან გამომდინარე, ამ ნაწილში ისინი საბჭოს გადაწყვეტილებაზე იყვნენ მინდობილები.

რაც შეეხებოდა, სასწავლო კურსის სილაბუსებს, სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული სწავლების შედეგები განმსაზღვრელი იყო პროგრამის მიზნების მიღწევისა და შესაბამისად, მათ აღმოაჩინეს, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, განსაკუთრებით ცოდნის სფეროს ნაწილში, სრულიად იდენტური იყო ერთმანეთთან და მიაჩნდათ, რომ თითოეული კურსისთვის უნდა განსაზღვრულიყო უნივერსალური სწავლის შედეგები. ასევე პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგი იყო, მაგალითად საბაზისო ლექსიკური მარაგის შექმნა, თუ ვთქვამთ მიზანი იყო ის, რომ ისინი ელოდებოდნენ პროგრამის კურსდამთავრებულისგან ქართული ენის ცოდნას B2 დონეზე, საბაზისო ლექსიკური მარაგის შექმნა საკმაოდ დაბალი ენობრივი კომპეტენცია იყო, ის შეიძლებოდა ყოფილიყო რომელიმე სასწავლო კურსის შედეგი, მაგრამ ვერ იქნებოდა წარმოდგენილი როგორც პროგრამის სწავლის შედეგი, ამდენად ეს სწავლის შედეგი უნდა მოდიფიცირებულიყო ან სხვანაირად უნდა წარმოდგენილიყო.

ასევე პრობლემატური იყო სასწავლო რესურსების საკითხი. მაგალითად, 4 კურსის ფარგლებში, რომელებიც მოცულობით 20 კრედიტი იყო, ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 და 2, ქართული ენის კომუნიკაციური აპსექტები 1 და 2. სავალდებულო ლიტერატურა მითითებული იყო მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო, ეს იყო ნინო შარაშენიძის. მათ მიაჩნდათ, რომ ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევისთვის ლიტერატურა საკმაოდ მწირი სასწავლო რესურსი იყო. ასევე პრობლემატური იყო და მათი რეკომენდაცია უკავშირდებოდა შეფასების ნაწილს. სასწავლო კურსებში მოცემული იყო შეფასების კომპონენტები თუმცა არ იყო წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და მათ გაუჭირდათ დაედგინათ მაგალითად შეფასების კომპონენტები და შეფასების სისტემა რამდენად უზრუნველყოფდა სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვას და კურსის ფარგლებში მათ განსაზღვრას.

ეს იყო რეკომენდაციები რაც ექსპერტებს ჰქონდათ დაწესებულების მიმართ. მათ ასევე ჰქონდათ რჩევები. ექსპერტმა თქვა, რომ ის საბჭოს მოახსენებდა ერთ-ერთ რჩევას, რომელიც უკავშირდებოდა თვითშეფასების დოკუმენტს, რომ თვითშეფასების დოკუმენტი ყოფილიყო უფრო მეტად ანალიტიკული და ინფორმატიული, მაგალითად თუ სასწავლო მიზნები თვითშეფასების დოკუმენტში პროგრამიდან იყო გადმოწერილი და არ იყო ანალიზი მოცემული იმისა, რომ ეს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები როგორ უკავშირდებოდა იგივე უნივერსიტეტის მისიას, პოლიტიკას მის ხედვას, ასეთი ანალიზი თუ არ იყო მოცემული და ეს შეეხებოდა სხვა სტანდარტებსაც, რომ ყოფილიყო ამომწურავი ინფორმაცია მოცემული თვითშეფასებაში და როდესაც ასე არ იყო, ექსპერტებს უჭირდათ ვიზიტის დროს მუშაობა. ვიზიტი საკმაოდ რეგლამენტირებული იყო, ცოტა დრო ჰქონდათ და ყველა საკითხის დაფარვას ისინი ვერ ახერხებდნენ. ამდენად ეს ართულებდა მათ მუშაობას და მათი რჩევა იყო, რომ მომავალში უნივერსიტეტს წარმოედგინა უფრო მეტად ინფორმატიული, ანალიტიკური ანალიზი თვითშეფასების დოკუმენტის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა და დაწესებულებას მიმართა, რომ თუ ისინი ექსპერტების რეკომენდაციებს და რჩევებს იზიარებდნენ, არ განეხილათ დროის დაზოგვის მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელს, ყურადღების გამახვილება სურდა ერთ კონკრეტულ საკითხზე. აკრედიტაციიდან დღემდე საანგარიშო პერიოდში პროგრამას ჰყავდა ერთადერთი სტუდენტი. შესაბამისად რაიმე ტიპის ანალიზის გაკეთება ამასთან დაკავშირებით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მათ არაერთხელ მიმართეს სახელმწიფოს თხოვნით იმასთან დაკავშირებით, რომ სახელოვნებო ტიპის უნივერსიტეტებისათვის ამ ტიპის პროგრამის განხორციელება ფორმალურ სახეს ატარებდა, სამხატვრო აკადემია საანგარიშო პერიოდში 2 სტუდენტი ჰყავდა, თეატრალურს ერთადერთი და კონსერვატორიას საერთოდ არ მიუღია სტუდენტი. ანალოგიური ვითარება იყო ბათუმის სახელოვნებო სასწავლო უნივერსიტეტში. მათ ჰქონდათ შეხვედრა ცენტრის ხელმძღვანელობასთან. მაშინ ბატონი გ. ვ-ე ბრძანდებოდა, ანუ როდესაც განახლებული სტანდარტი დაიდო ამ პროგრამის, მათ თხოვნით მიმართეს თუ რა გაეკეთებინათ. ამ სტანდარტის აწევა სახელოვნებო უნივერსიტეტებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან არ არსებობდა რესურსი და არც მოთხოვნა. მათ ცენტრის

რეკომენდაცია ჰქონდათ ასეთი, რომ ეზრუნათ ერთობლივი პროგრამის განხორციელებაზე და ეს ერთობლივი პროგრამა იქნებოდა სახელოვნებო უნივერსიტეტების, თბილისის შემთხვევაში ეს იქნებოდა კონსერვატორია, თეატრალური და სამხატვრო აკადემია, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც მდიდარი ტრადიცია არსებობდა და სკოლა, ასევე ცალკე მიმართულება როგორც ქართული ენის, როგორც მეორე ენის შესწავლას უზრუნველყოფდა მაღალ დონეზე, და ბათუმის შემთხვევაში ეს იქნებოდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მათ უკვე მომზადებული ჰქონდათ მემორანდუმი, სპეციალური, მიზნობრივი ამ პროგრამასთან დაკავშირებით და იქ შეიქმნა ერთი კოლიზია, იმიტომ რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ამბობდა, რომ ერთობლივი პროგრამის განხორციელება შესაძლებელი იყო უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და რაკი ამ პროგრამას უმაღლესი სტატუსი არ ჰქონდა, ის ხომ კვალიფიკაციაზე არ გადიოდა, აქ იყო კოლიზია. მათ შემდეგ მიმართეს სამინისტროს, რომ იქნებ შესულიყო ცვლილება კანონში და სიტყვა უმაღლესი ამოსულიყო მხოლოდ და უნივერსიტეტს მიცემოდა საშუალება, რომ ერთობლივად განეხორციელებინათ საგანმანათლებლო პროგრამები. ანუ ერთობლივში იგულისხმებოდა უმაღლესი როგორც სხვა ტიპის პროგრამა. უკვე ამ ვითარებაში მათ მოუწია ის პერიოდი, როდესაც ანკეტა-კითხვარი უნდა წარმოედგინათ და შესაბამისად, უკვე უნდა მოემზადებინათ თვითშეფასებაც. ის სრულად იზიარებდა ბატონი მიხეილის რჩევას თვითშეფასების დოკუმენტების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით და მისი თქმით, არაერთი თვითშეფასების დოკუმენტი ჰქონდა მომზადებული, მაგრამ ერთადერთი სტუდენტის შემთხვევაში ეს შემთხვევა იყო ძალიან უცნაური. ხოლო რაც შეეხებოდა იმ რეკომენდაციას, რომელსაც ისინი ვერ გაიზიარებდნენ, თავისთავად ეს ცხადი იყო პირველი სწორედ ის იყო, რომ კანონში არსებული ჩანაწერის მიუხედავად, სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტის ჩარიცხვა ხორციელდებოდა ა) შემოქმედებითი ტურის და ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, შემოქმედებითი ტურის სპეციფიკა და საერთოდ სახელოვნებო სწავლების სპეციფიკა რა თქმა უნდა და აპრიორი გულისხმობდა, რომ ადამიანს საკუთარი უნარების დემონსტრირება უნდა მოეხდინა. საშემსრულებლო მიმართულებით ეს იყო საკმაოდ რთული და სტრესული გამოწვევა და აქ ზედმიწევნით იყო ენის ცოდნა საჭირო, მშობლიურ ენაზე მას უნდა წარმოედგინა ეწიუდი, მას უნდა წარმოედგინა ნიჭი, არტისტიზმი, როგორ კითხულობდა, ეწიუდები, აუდიო ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით მას სინუქსისი უნდა დაეწერა, ასევე გამართულად დაეწერა სცენარი, წარმოედგინა ჩანახატები და ა.შ. ეს არ იყო მხოლოდ ის მომენტი, როდესაც ის თავის ფოტოგრაფიულ ნამუშევრებს წარმოადგენდა და სხვა და სხვა. შესაბამისად, ამ ტიპის უნივერსიტეტში როგორც თეატრალური უნივერსიტეტი იყო, მთელი 8 სემესტრის განმავლობაში სასცენო მეტყველება, სპეციალური მეტყველება მიეწოდებოდა, ეს იყო ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი ოსტატობის მოდულის. ქალბატონი მანანა ბერიკაშვილი, რომელიც სხდომას ესწრებოდა, წარმოადგენდა ამ პროცესის მეტრს და ხელმძღვანელობდა იმ მიმართულებას თუ როგორ ისწავლებოდა სპეციალური სასცენო მეტყველება. ის მართო სცენას არ ჭირდებოდა, ის ჭირდებოდა ეკრანს და ა.შ. შესაბამისად, როდესაც ადამიანი ქართულ ენას უნდა დაუფლებოდა, და ამ პროგრამის სწავლის შედეგი უნდა გამხდარიყო მხოლოდ B2 დონე, რაც ენის საბაზო ცოდნას გულისხმობდა. შემოქმედებითი ტურის სპეციფიკას სახელოვნებო უმაღლესებში სტრესული გამოწვევა იყო პიროვნებისთვის, რადგან მას უნდა მოეხერხებინათ თავისი შემოქმედებითი უნარების დემონსტრირება. თეატრალური უნივერსიტეტის კონტექსტში ეს გულისხმობდა იმას, რომ მას უნდა წარმოედგინა დეკლარირების უნარი, მას უნდა წაეკითხა ან იგავ-არაკი და ა.შ. მას ეწიუდი უნდა ეთამაშა, მას აუდიო-ვიდეო ხელოვნების შემთხვევაში უნდა წარმოედგინა სინოფსისის ჩანახატი, სცენარი, მცირე ექსპლიკაცია. ე.წ. სარეჟისორო გეგმა კი არა მისი ასეთი საყოველთაო გაგებით, მაგრამ ჩანახატი, მონახაზი. შესაბამისად, ენის ცოდნა აქ იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ადამიანმა რომელმაც არ იცოდა ენა და მისი მიზანი იყო ამ პროგრამის დასრულების შემთხვევაში მხოლოდ B2 დონე აეღო, რაც ენის საბაზო ცოდნად გულისხმობდა, ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოახერხებდა. შესაბამისად, ეს იყო აბსოლუტური ფორმლობა მათ ამ სუბიექტებისთვის მოეთხოვრათ შემოქმედებითი ტური. მაშინ როდესაც, მათთან სტუდენტები

მიდოდნენ, რომლებიც ძალიან კარგად ახერხებდნენ საკუთარი ნიჭის და უნარების დემონსტრირებას და კიდევ 8 სემესტრის განმავლობაში და მთელი საბაკალავრო პროგრამის განმავლობაში ეუფლებოდნენ სასცენო, საეთერო მეტყველებას და ა.შ. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი სახელოვნებო განათლებისთვის. ამდენად, იმიტომაც რომ ძალიან ბევრი რამ იყო იქ ფორმალური, იმ შემთხვევაში როდესაც მათ ერთადერთი სტუდენტი ჰყავდათ ამ 7 წლის განმავლობაში, იმ სტუდენტს თავიდან სურდა კინო სარეჟისოროზე ჩაბარება, მაგრამ როდესაც ის მიხვდა, რომ ის ვერანაირად ვერ შეძლებდა ამას, შემდეგ მან გადაიფიქრ და ტურიზმზე ჩააბარა. ამის შემდეგ მათთან საერთოდ აღარ გამოჩენილა. მისი თქმით, იმდენად ფორმალური იყო ის ყველაფერი, თუ კი მათ ამისი უფლება მიეცემოდათ და ერთობლივ პროგრამას განახორციელებდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, მაშინ თავისთავად ცხადი იყო, აპლიკანტი ანუ მსურველი იქ გაივლიდა პროგრამას, მიიღებდა შესაბამის სერთიფიკატს. მათ ეს მემორანდუმში გაწერილი ჰქონდათ და ასევე, ცენტრთანაც იყო შეთანხმებული. რომ არა კოლიზია, ეს ყველაფერი ძალიან მარტივად მოგვარდებოდა. ისინი მოლოდინის რეჟიმში იყვნენ, იქამდე სანამ არ მოვიდა ვადა და 15 დეკემბრამდე მათ უნდა წარედგინათ ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარი, და თავისთავად ცხადი იყო, რომ მათ უნდა შეეტანათ პროგრამა რეაკრეტაციისთვის იმიტომ, რომ მათ კანონი ავალდებულებდა. თუმცა საკანონმდებლო ჩანაწერი იმასაც გულისხმობდა, რომ ეს პროგრამები „სსიპ“-ებს უნდა განეხორციელებინათ და ამის ვალდებულება მათ ჰქონდათ 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისამდე, მათ ესმოდათ რომ ეს პოლიტიკური საკითხი იყო და ეს ნამდვილად უნდა ყოფილიყო და არა ფორმალური. საქმე სწორედ ამაში იყო. მათ გაიზიარეს ის რეკომენდაცია, მაგრამ სურდათ ეთქვათ ასეთი რომ იმ ერთდერით შემთხვევაში როდესაც ისინი მუშაობდნენ იმ 1 სტუდენტთან, ის მეთოდი ძალიან ეფექტური აღმოჩნდა, რადგან მათ საუბრები ჰქონდათ კულტურათა შორის განსხვავებებზე, სიმბოლოებზე, რომლებიც განასხვავებდა კულტურულ სივრცეებს ერთმანეთისგან, დაწყებული ჰერალდიკის, მაგალითად თუ როგორ იყო დროშაზე გამოსახული სიმბოლოები და ა.შ., მულტიკულტურულ განსხვავებებზე, რელიგიური განსხვავებების შესახებ და ა.შ. თავისთავად ცხადი იყო, რომ ეს საუბრები ვერ შედგებოდა. ეს არ ნიშნავდა, რომ ეს ადამიანი კულტურულოგიის დონეზე დაეუფლებოდა ყველაფერს, მაგრამ მეთოდოლოგიურად ეფექტური აღმოჩნდა. ისევე როგორც ენობრივი ნასესხობები, ეს არ იყო მისი ფართო გაგება, მაგრამ ის რომ სიტყვები ერთმანეთში შემოდიოდა და თვითონ ქართულ ენაშიც უამრავი სიტყვა იყო ისეთი, რომელიც შემოსული იყო და დამკვიდრებული. მათ ესმოდათ, რომ ეს შეიძლება უტრირებულად გამოჩენილიყო პროგრამის აღწერაში, ისინი მზად იყვნენ და გაიზიარეს ეს რეკომენდაცია.

მათ ასევე სურდათ ყურადღება გაემახვილებინათ შეფასების რუბრიკებზე. მათ განუმარტეს ექსპერტებს, რომ პროგრამაში არ იყო, მაგრამ ყოველ დავალებას მოყვებოდა შეფასების რუბრიკა, თუ როგორ იყო წარმოდგენილი თითოეული ქულა, როგორი იყო მისი რანჟირება და რაში რა ქულა იწერებოდა და ეს თეატრალურ უნივერსიტეტში როგორც წესი ასე იყო და თავისთავად ცხადი იყო, რომ ამის გადატანაც პროგრამაში არ წარმოადგენდა სურთულეს. ისინი იტოვებდნენ იმედს, რომ ერთობლივი პროგრამის განხორციელების საშუალება მიეცემოდათ. და იმ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ლიტერატურას, კერძოდ კი ნ. შ-ის წიგნს ეხებოდა, თავისთავად ცხადი იყო, რომ მათ უკვე ჰქონდათ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ისინი მის რესურსებს იყენებდნენ, მაგრამ თავისთავად ცხადი იყო, რომ ამ პროგრამის ერთობლივად განხორციელების შემთხვევაში რესურსებზე წვდომა უფრო მეტად ექნებოდათ. თუ საბჭოს რაიმე კითხვა ჰქონდა დაწესებულება მზად იყო ეპასუხა.

სხდომის თავმჯდომარემ თქვა, რომ ეს მართლაც უცნაური რამ იყო, უნივერსიტეტს ავალდებულებდნენ იმის გაკეთებას რაც მას არ უნდოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტის ღირებულებებს და მისიას არანაირად არ მიესადაგებოდა ეს პროგრამა. შესაბამისად ისინი ამას ვერ დაწერდნენ. თვითშეფასებაში მათ ზუსტად აღწერეს ის რაც იყო ყოველვარი უტრირებული მოცემულობის

გარეშე. ასევე მეორე მომენტი იყო ძალიან უცნაური, ეს პროგრამა იყო ოთხი ხელოვანი სოციუმისთვის, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენოვანთათვის. ამიტომ ჰქონდა თსუ-ს ძალიან მძლავრი ბაზა, რომ იქ ყველა ენაზე, სომეხი ეთნოსის სტუდენტს სომხურად უნდა მიეღო განათლება, აზერბაიჯანელს აზერბაიჯანულად, შესაბამისად ამის რესურსი როგორ ექნებოდა. სახელოვნებო ისედაც ძალიან მცირე ბიუჯეტის მქონე დაწესებულებები იყვნენ. მისი თქმით, ძალიან ბევრი შეუსაბამობა იყო. მათ იფიქრეს და ცენტრმაც მხარი დაუჭირა, უბრალოდ საკანონმდებლო ინიციატივა იყო და ამაში მათ სამინისტროს მხარდაჭერა ჭირდებოდათ.

სხდომის თავმჯდომარის თქმით აქ ორი აზრი არ არსებობდა, ეს იყო საკანონმდებლო ამბავი, სანამ კანონი არ გასწორდებოდა, საკითხი ვერ მოგვარდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თუ პროგრამა ასე გაგრძელდებოდა და დარჩებოდა უნივერსიტეტის ფარგლებში, მიღების წინაპირობის საკითხი აუცილებლად იყო დასაკონკრეტებელი. იმიტომ რომ თუ სტუდენტი ჩაირიცხებოდა და მერე აღმოჩნდებოდა, რომ მას კონკრეტული პროგრამა უნდოდა და ვერ მიეცემოდა შესაძლებლობა, რომ სწავლა გაეგრძელებინა, მათთვის ინდივიდუალურად მოსაფიქრებელი იყო მიღების წესის სხვა ფორმა. დასაზუსტებელი იყო თუ რა ფორმით შეფასდებოდა სამსახიობო უნარები, სტუდენტი უნივერსიტეტში ჩაბარებამდე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული. იმიტომ რომ შესაძლებელი იყო ჩაებარებინა ამ პროგრამაზე და შემდეგ არ ჰქონოდა შესაძლებლობა გაეგრძელებინა სწავლა იმ პროგრამაზე რაც მას სურდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ქართული ენის მომზადების პროგრამაზე ჩასარიცხად საჭირო არ იყო შემოქმედებითი ტური, ეს იყო ნონსენსი, ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არსებობდა, კანონი ამას არ ითხოვდა.

ქალბატონი ელენეს თქმით, შემდეგ, სტუდენტი სხვაგან სწავლას ვერ გააგრძელებდა სადაც მას სურდა.

ეს საერთოდ არ იყო ასე. ყოველ კონკრეტულ პროგრამას, და მათ შორის სახელოვნებო შემოქმედებით პროგრამებსაც ჰქონდათ მიღების წინაპირობები, სადაც ეწერა, რომ ამ პროგრამაზე ჩარიცხვა ხდებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით, შესაბამისად ეს იყო შემოქმედებითი ტური და ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ექპერტის მითითებით ეს იყო შეზღუდვა და ეს უნდა მითითებულიყო პროგრამის აღწერაში და ცხადი ყოფილიყო აბიტურიენტისათვის.

დაწესებულებამ განმარტა, რომ ისინი არ აწესებდნენ შეზღუდვას. თუ აპლიკანტი ისე დაძლევდა ქართულ ენას, რომ ის რომელიღაც პროგრამაზე ჩააბარებდა, რატომაც არა. მაგრამ ისინი იმას ამბობდნენ, რომ იმ რესურსების და იმ 1 სტუდენტის პირობებში ეს ასე არ მომხდარა. ქართული ენის პროგრამაზე შემოქმედებით ტურს ისინი ვერ გაატარებდნენ, კანონში არ იყო მსგავსი რამ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განმარტა, რომ სტუდენტს ჰქონდა უფლება, რომ ცოდნოდა და უნდა მითითებულიყო განმარტებითი ინფორმაცია. თუმცა დაწესებულება აღნიშნულში არ ეთანხმებოდა.

საბჭოს წევრის განმარტებით, ცნობილია, რომ საერთო ევროპული ჩარჩოს B2 დონეს უნდა აკმაყოფილებდეს და მათ უცნაურად ჰქონდათ კურიკულუმი აგებული, საერთოდ არ იყო საუბარი რომელი კურსი სად გადიოდა, ვის იღებდნენ, იქ ვერაფრით ვერ დადგინებოდა იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ მოსმენა-დაპარაკი 1, მოსმენა-ლაპარაკი 2, რას ნიშნავდა ეს, A1, A1+, A2, B1 თუ B2 იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც ისინი ამ პროგრამის შექმნაზე ფიქრობდნენ თავისდროზე, მათ მოიშველიეს ასეთი სახელმძღვანელო არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის და ამ შემუშავებაში და შექმნაში თვითონაც იღებდა მონაწილეობას, იმ დროს ის სამინისტროს ერთ-ერთ სამმართველოს უფროსად მუშაობდა და აღნიშნული მათ კომპეტენციაში შედიოდა. ამ თავთავის იდეა დაიბადა მაშინ, როდესაც მაღალმთიან და არაქართულენოვან რეგიონებში მიავლინეს ქართული ენის მასწავლებლები და როდესაც იქ ქალბატონი ბ. წ-ი ბრძანდებოდა, რომელსაც თავადაც ახლდა მონიტორინგზე, სკოლის მოსწავლეები აღმოჩნდა, რომ ვერ საუბრობდნენ ქართულად. ამის შემდეგ დაიბადა იდეა, რომ

ესწავლებინათ ქართული როგორც უცხო ენა, რომელიც იმ დროს ძალიან რეალისტური და მიღწევადი აღმოჩნდა. შედეგი ამ პროგრამის იყო B2 დონის აღება.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ეთანხმებოდა და ერთადერთი გამოსავალი მისი თქმით, პროგრამების გაერთიანება იქნებოდა. აქ საუბარი არ იყო იმაზე რომ მათ თვითშეფასების დაწერა ვერ მოახერხეს იმის გამო რომ მათ 1 სტუდენტი ყავდათ. აქ საუბარი იყო B2 დონის მიღწევაზე, მაგრამ კურსკულუმში არ იყო მოცემული სტუდენტი როგორ გაიოდა B2 დონეზე, ანუ როგორ გაიარა მან A1, A2, B1. თუმცა მან თქვა, რომ მას ესმოდა სპეციფიკა, თუ ისინი რამენაირად შეძლებდნენ მხარს დაუჭერდნენ იმაზე, რომ ეს პროგრამები გაერთიანებულიყო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კერძოდ, 1-ლი, მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მე-4 და მე-5 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

ა) პროგრამის მიზნების ბოლო პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად - პროგრამის მიზანია, სტუდენტი უზრუნველყოს იმგვარი ცოდნით, რომ მან შეძლოს სხვა ენების დამოუკიდებლად შესწავლა. პროგრამით გათვალისწინებული კურსების შინაარსისა და მიზნების გათვალისწინებით, პროგრამა ვერ უზურუნველყოფს სტუდენტის მიერ სხვა ენების დამოუკიდებლად შესწავლას, ამ პროცესზე დაკვირვებასა და სწავლის შედეგების შეფასებას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მიზანი ამოღებულ უნდა იქნას პროგრამის მიზნებიდან;

ბ) პროგრამაში აღწერილია სწავლის შედეგები და კომპეტენციები, რომლებიც რიგ შემთხვევებში ცდება წინამდებარე პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებს.

მაგალითად:

ცოდნა:

„ენობრივი კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) გაცნობა.“ - ენობრივი ნაირსახეობის შესწავლა არის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კომპეტენცია.

უნარები:

„საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი „ - ტექსტის რედაქტირება და ანოტირება მაღალ დონეზე ენის ფლობას მოითხოვს.

„პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი“ - გაუგებარია რომელ პროფესიულ სფეროში შეიძლება მოხდეს ადაპტაცია, ჯერ საბაკალავრო საფეხურზე არ არის სტუდენტი.

აუცილებელია, შედეგებისა და კომპეტენციების სტანდარტით განსაზღვრული სფეროების მიხედვით განაწილება და საფეხურის შესაბამისად გაწერა, ისე რომ ნათლად იკვეთებოდეს რას მიაღწევს სტუდენტი;

გ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში, გათვალისწინებული უნდა იყოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47³-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტები, რომლებიც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლით აპირებენ სწავლას სახელოვნებო- შემოქმედებით ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ვალდებული არიან ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გაიარონ შესაბამისი კონკურსი სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.;

დ) კურსების სილაბუსების მიხედვით ყველა კურსის სწავლის შედეგების ნაწილში ცოდნის სფეროში მოცემული მისაღწევი სწავლის შედეგები იდენტურია. ყველა კურსისთვის ცალკეულად განისაზღვროს ის სწავლის შედეგები, რომელიც კონკრეტული კურსის მიზნების რელევანტური იქნება;

ე) პროგრამის მიხედვით ენის შესწავლა B2 დონეზეა დაგეგმილი, რაც ენის შესწავლას „ზღვრულ განვითარებულ“ დონეზე გულისხმობს. პროგრამის სწავლის შედეგი - საბაზისო ლექსიკური მარაგის შექმნა კი, არ შეესაბამება ენობრივ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით ენის შესწავლის ზემოაღნიშნულ დონეს. პროგრამის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან და კომპეტენციებთან;

ვ) კურიკულუმის მიხედვით განსაზღვრულია ასევე კომპეტენციები, რომლებიც ცდება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღწევ სწავლის შედეგებს. მაგ: „ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედეგების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა“. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ სასწავლო კურსებში, წარმოდგენილი კურსების სილაბუსების გათვალისწინებით, ფოლკლორული შედეგების შესწავლა არც არის დაგეგმილი. პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამის სწავლის შედეგებიდან ამოღებული უნდა იყოს შემდეგი სწავლის შედეგი: „ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული შედეგების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა“;

ზ) კურსებში ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 და 2, ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1 და 2 - სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია ნინო შარაშენიძის სახელმძღვანელო „მიდამო, სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისათვის“. 20 კრედიტის მოცულობით ოთხი კურსის ფარგლებში ძირითად ლიტერატურად ერთი და იგივე სახელმძღვანელოს გამოყენება ვერ უზრუნველყოფს კურსის შესაბამის შედეგს. პროგრამა უნდა გამდიდრეს ძირითად და დამხმარე თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით;

თ) კურსების სილაბუსებში არ არის მოცემული შეფასების რუბრიკები, რის გამოც არ ჩანს ცალკეული კურსის სპეციფიკა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული კურსისთვის გაწერილი იყოს კურსის სწავლის შედეგებზე მორგებული შეფასების რუბრიკა, რითაც დადგინდება რამდენად შესაბამისობაშია შეფასება კურსის მიზნებთან;

ი) პროგრამის მიზნების მეორე პუნქტი - პროგრამის მიზანია, სტუდენტი უზრუნველყოს იმგვარი ცოდნით, რომ მან შეძლოს სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა და გაგება - ფორმულირებულია ზოგადად. ვინაიდან პროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი, კერძოდ, საბაკალავრო საფეხურზე სწავლისთვის სტუდენტების ენობრივად მომზადება, პროგრამის მიზნები უნდა აღწერდეს კონკრეტულ ინდიკატორებს და გაზომვად ენობრივ კომპეტენციებს. კერძოდ, მიზნებში კონკრეტულად განისაზღვროს რა ტიპის ტექსტების შექმნასა და გაგებას შეძლებს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ;

კ) ორნაწილიანი კურსების ორივე ნაწილის (1 და 2) მიზანი არის ერთნაირად ფორმულირებული, რაც ხშირ შემთხვევაში გაუგებარს ხდის, რა კონკრეტული მიზანი არის დასახული კონკრეტული სემესტრისთვის განკუთვნილ სილაბუსში და რა სპეციფიურ მიზანს უნდა მიაღწიოს სტუდენტმა კურსის ფარგლებში. თითოეული კურსისთვის განსაზღვრული უნდა იყოს კონკრეტული კურსის სპეციფიური მიზანი;

ლ) კურსების ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 და 2 სემესტრულ თემატიკაში, თითოეული კვირის თემატიკად გაწერილია ორი თემა. აქედან ერთი არის სომხურენოვანი და მეორე აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის. აღნიშნულ კურსში სომხურენოვანი ლიტერატურაა სავალდებულო ლიტერატურად მითითებული. პროგრამაში მონაწილე პერსონალი არ ფლობს უმცირესობის ენებს, შესაბამისად გაუგებარია ამ კურსის წაკითხვა როგორც მოხდება. სახსრების ოპტიმიზაციის მიზნით სასურველია ერთი დანართის ფარგლებში მოექცეს ორივე კურსი და გაწერილი იყოს კურსებისთვის ერთი თემატიკა, სადაც კურსის წამყვანს შესაძლებლობა ექნება შედარების სახით განიხილოს გარკვეული სპეციფიური ენობრივი განსხვავებები;

მ) სასწავლო კურსში - ქართული ენის ორთოეპია და მართლწერა - სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია შემდეგი სახელმძღვანელო: დ. თვალთვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბ., 2008. აღნიშნული სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებიც ენას უკვე მაღალ დონეზე ფლობენ და შეუძლიათ მართლწერის საკითხების თეორიული შესწავლა. შესაბამისად, კურსის ფარგლებში პროგრამის მიზნების შესაბამისი დონის სახელმძღვანელო ან ადაპტირებული მასალა უნდა იყოს გამოყენებული;

ნ) რეკომენდებულია, თვითშეფასების დოკუმენტში დეტალურად იყოს აღწერილი პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით და იქნეს მოყვანილი რელევანტური მტკიცებულებები და გაზომვადი მახასიათებლები;

რჩევები:

ა) სასურველია, კურიკულუმში და თვითშეფასებაში მიღების წინაპირობა ემთხვეოდეს ერთმანეთს;

ბ) პროგრამის ფარგლებში 25 კრედიტი დათმობილი აქვს გრამატიკის შესწავლას. კურიკულუმის მიხედვით, ამ პროგრამის ერთ-ერთი მიზანი სტუდენტების კულტურულ გარემოში ინტეგრაციაა. აღნიშნული კომპეტენციების განმავითარებელი თემები კურსებში მცირე მოცულობით არის წარმოდგენილი, რაც ეჭვქვეშ აყენებს სტუდენტებში აღნიშნული კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობებს. სასურველია, გრამატიკის კურსების შემცირება და შემცირებული კრედიტების ხარჯზე პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსების შეთავაზება, რაც მეტად უზრუნველყოფდა პროგრამის მისაღწევ შედეგებს;

გ) სტუდენტებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების ოდენობით ფაკულტეტებს შორის განსხვავებული სიტუაციაა და ზოგიერთ ფაკულტეტზე მეტად არის სტუდენტების აქტიური ჩართობა პროექტებში. სასურველია, მეტი კონტაქტი და კოორდინაცია იყოს თეორიულ და პრაქტიკულ ფაკულტეტებს შორის;

დ) სასურველია ასევე საუნივერსიტეტო პროგრამების დასაქმების ბაზართან მეტი ბმა თეორიული ფაკულტეტების შემთხვევაში. სასურველია, მოეწყოს პრაქტიკული ატივობები თეორიული მიმართულების სტუდენტებისთვისაც, რაც შემდგომში მათი პროფესიული განხრით ჩართვას უზრუნველყოფს;

ე) სასურველია, მეტად იყოს გათვალისწინებული სტუდენტების მიერ კურსების შეფასების სისტემაში ასახული შენიშვნები, რაც შეეხებოდა მაგალითად ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიას (ისინი მიიჩნევენ, რომ კურსების სწავლების მეთოდები მოძველებულია);

ვ) სასურველია, ყველა სავალდებულო ლიტერატურა განთავსებული იყოს ელექტრონულად შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე;

ზ) სასურველია, შემუშავებული პროგრამის შეფასება განახორციელონ ასევე საქართველოში არსებული საერთაშორისო ენების შემსწავლელმა ცენტრმა;

თ) სასურველია გონივრულ ვადებში პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს "ქართულ ენაში მომზადების" დარგობრივ მახასიათებელთან.

გადაწყვეტილება

- პირობითი აკრედიტაციის შესახებ

აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2012 წლის 8 ნოემბერი, N619 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	კვალიფიკაციის დასახელება	-
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	

		საქართველო, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ზუგდიდი, 2100, ჯანაშიას N14
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მოკლედ მოეხსენებინათ და წარმოეჩინათ ძირითადი საკითხები და რეკომენდაციები.

ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამამ 2012 წელს გაიარა აკრედიტიაცია და ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პროგრამაზე არ ჰყავდათ სტუდენტი და შესაბამისად კურსდამთავრებული და აქ ასევე იყო პროგრამის განხორციელების პრობლემა. შესაბამისად, ისინიც იზიარებდნენ და თანამშრომლობდნენ იმ უნივერსიტეტების გამოცდილებას რომელსაც ახორციელებდნენ. ამ უნივერსიტეტის შემთხვევაში მათ გამოავლინეს საუკეთესო პრაქტიკა და მისი თქმით ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ უნივერსიტეტს საკუთარ შენობაში გააჩნდა სივრცე ვისაც ეს სჭირდებოდა და ამაში იგულისხმებოდნენ სტუდენტები ვისაც შვილები ჰყავდათ.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, ისინი პრობლემატურად მიიჩნევდნენ იმას, რომ მათ ვერ მიაკვლიეს პროგრამის მიზნები და სწავლების შედეგები თუ როგორ აისახებოდა სასწავლო კურსებში. მათ მოიყვანეს ერთ-ერთი მაგალითი, რომ პროგრამის მიზანია ეროვნულ-კულტურული ღირებულებების გაცნობა და ინტეგრაცია, რაც ასახული იყო სწავლის შედეგებში, თუმცა მათ ვერ ნახეს შესაბამისი კურსი, თემატიკა, რომელიც სტუდენტს განუვითარებდა ამ კომპეტენციას. შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდებოდა პროგრამის წინაპირობას, ეს ნაწილობრივ ტექნიკური საკითხი იყო, მაგრამ შეიძლება დამაბნეველი აღმოჩენილიყო აბიტურიენტისთვის. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული იყო ის გრაფა, რომელიც განკუთვნილი იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, ასევე აღნიშნული იყო ტესტირება, რომელსაც უნივერსიტეტი ატარებდა უნივერსიტეტის ენობრივი კომპეტენციის დასადგენად, რომ ისინი გადაენაწილებინა A და B ჯგუფებში. ეს არ იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, ეს იყო სტუდენტების ორგანიზების გარკვეული ინსტრუმენტი, რომლის შემდეგაც უნივერსიტეტი ანაწილებდა პირობითად A და B ჯგუფებად ენობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით. შესაბამისად ამ ინფორმაციისთვის უნდა გამოყოფილიყო ცალკე გრაფა, მათ ჰქონდათ რჩევა თუ როგორ შეიძლებოდა უნივერსიტეტს აესახა პროგრამაში. ყოველ შემთხვევაში, სტუდენტს უნდა სცოდნოდა, რომ ეს არ იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მას სახელმწიფოს მიერ დადგენილი წინაპირობის გარდა არანაირი შიდაშესარჩევი კონკურსის გავლა არ მოუწევდა. ასევე, პროგრამის ერთ-ერთი მიზანი იყო ის, რომ სტუდენტს უნდა შეეძლებოდა ქართულ ენაზე მოესმინა, თუმცა მათ ვერ ნახეს შესაბამისი კურსი ან თემატიკა, რომელიც ამ კომპეტენციას ავითარებდა და ფასდებოდა სტუდენტის კომპეტენცია და მათ მიაჩნდათ, რომ ან სასწავლო კურსი უნდა დამატებულიყო ან რომელიმე კურსში უნდა განსაზღვრულიყო გარკვეული თემები და საკმარისად განსაზღვრულიყო, რომ სტუდენტს

შეძლებოდა ამ კომპეტენციის შექმნა პროგრამის ფარგლებში. მათ ასევე მიიჩნიეს, რომ შეფასება იყო უნიფიცირებული და ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილი შეფასება და შეფასების კომპონენტები ვერ აფასებდნენ ამა თუ იმ კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. მაგალითად იგივე პრაქტიკულ კურსებში ცოტა ბუნდოვანი იყო როგორ ფასდებოდა სტუდენტის კომპეტენცია ტესტირებით. მათ ასეთი შეუსაბამობები ნახეს და ეს იყო გასამართი. პროგრამა უნდა იძლეოდეს პროგრამით განსაზღვრული მიზნების და სწავლის შედეგების შეფასებას. მათ გაუჭირდათ წარმოდგენილი შეფასების სისტემის საფუძველზე დაედგინათ.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ვინაიდან ამ უნივერსიტეტს არ ჰყოლია სტუდენტი ამ პროგრამაზე და ამით იყო გამოწვეული ის, რომ სილაბუსებში, შეფასებაში ნაკლებად იყო ასახული და გააზრებული ვთქვათ რეალურად როგორ შეიძლებოდა წარმართულიყო პროცესი და არ შეესაბამებოდა კონკრეტული შეფასება კონკრეტულ მიზანს. სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, გამოიკვეთა ის, რაც მათ აღწერილობაში ვერ ნახეს, შეფასების პროცესი ძალიან კარგად მიმდინარეობდა, სტუდენტები იღებდნენ უკუკავშირს და პირადადაც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ეს ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ პროგრამაზე არ იყვნენ სტუდენტები, კურსების აღწერილობაც ძალიან ზოგადი იყო და ნაკლებად ინფორმატიული, მაგრამ რეალობა შედარებით განსხვავდებოდა სხვა პროგრამების შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს იყო პროგრამა, რომელიც ჰქონდათ 2012 წლიდან მაგრამ არ განხორციელებულა. უნივერსიტეტს ამ პროგრამაზე არ ჰყავდა სტუდენტი და შესაბამისად, მათ არ ქონიათ პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა. და რეკომენდაციები, რომლებიც გაჩნდა ამ პროგრამის ფარგლებში ლოგიკურად იყო. მათ ეს პროგრამა არ შეუმუშავებიათ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. მათ პროგრამის შეფასების არანარი შესაძლებლობა არ ჰქონდათ, ისინი დაეყრდნენ იმ წამყვანი უნივერსიტეტების პროგრამებს სადაც ეს ხორციელდებოდა, გამოცდილება, იყო, მოდიფიცირების პროცესი მიმდინარეობდა და იფიქრეს, რომ ეს გამოცდილებები მათთვის იქნებოდა მაინც მთავარი გზავნილი და საფუძველი, რომ გაეკეთებინათ პროგრამა იმ ფორმით, რა ფორმითაც იყო წარმოდგენილი. შესაბამისად ისინი აღიარებენ და ამბობენ იმას, განსაკუთრების შეფასების ბოლო ნაწილზე, რომ უნივერსიტეტი ლოგიკურია ისე, როგორც ყველა სხვა დანარჩენი მოქმედებდა და ხელმძღვანელობდა ზოგადად მინისტრის ბრძანებით, რომლითაც რეგულირდებოდა სწავლის, შეფასების მეთოდები და ეს იყო მათი ძირითადი სახელმძღვანელო და საერთაშორის გამოცდილება, რომელიც სწავლის მეთოდებთან გაიარეს. დისტანციურთან დაკავშირებით, ამავე დროს ძალიან ბევრი ელექტრონული სისტემა დანერგეს და იმ დროსაც, ძალიან კარგი გამოცდილება იწერებოდა. ერთი პროგრამა უნივერსიტეტში სრულად იყო გადაყვანილი და როდესაც საუბარი იყო პროგრამის შედეგებზე, მათ დაიწყეს სასწავლო კურსის შეფასება თვითონ განმახორციელებლების მიერ კითხვარებით, რომლებიც დართული იყო სილაბუსზე და ის შედეგი, რომელიც სილაბუსში იყო მოცემული, რამდენად იყო მიღწევადი ამის გამოკითხვას და შეფასებას აკეთებდა თავად კურსის განმახორციელებელი. ანუ ეს იყო სიახლე, ამასთან დაკავშირებით მათ ხარისხთანაც ისაუბრეს, რომელიც მოუწონეს კიდევ. ისინი ამზადებდნენ ახალ პროგრამებს აკრედიტაციის მიზნებისთვის და იქაც ჰქონდათ ამის დანერგვა დაწყებული. ყველაზე დიდი მონაპოვარი რაც უნივერსიტეტს ჰქონდა, ეს იყო თითოეული პერსონალის თავისუფლება თავისი სწავლის მეთოდებისა და სწავლის მეთოდების არჩევანში, რომელიც ნამდვილად იკვეთებოდა ინტერვიუების დროს და მათ ნამდვილად შეეძლოთ ამით მოეწონათ თავი. მთავარი იყო პროგრამას დაეწყო განხორციელება, რომელშიც გამოჩნდებოდა მათი გამოცდილება, მათ არც სხვა პროგრამის გამოცდილების გამოყენება უცდიათ ამ პროგრამაში. მათ ჩათვალეს, რომ მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოცდილება გაეზიარებინათ. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, ამაზე პროგრამის ხელმძღვანელი ისაუბრებდა. პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა საბჭოს წევრებს და ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით. პირველი რეკომენდაციით, პროგრამის მიზანი შესაბამისი უნდა ყოფილიყო სწავლის შედეგების და კომპეტენციების აღწერილობასთან. პროგრამის მიზნებში ეწერა, რომ მიზანი იყო ეროვნულ-კულტურული ღირებულებების გაცნობა და ინტეგრაცია, პროგრამის

შედეგებში ასევე მკაფიოდ უნდა გაწერილიყო და განსაზღვრულიყო, რომ კურსდამთავრებულს შეეძლო კულტურული ღირებულებების იდენტიფიცირება და დაფასება. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი იყო არაქართულ ენოვანი მოქალაქეების უნივერსიტეტის სასწავლო გარემოსთან ინტეგრაცია, საუნივერსიტეტო ცხვრებაში მათ ჩართვა და უწყვეტ განათლება. ისინი ფიქრობდნენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიზნები შეესაბამებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს და მისი თქმით, პროგრამაში ზუსტად იყო მითითებული, რომ გათვალისწინებული იყო შედეგების პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში, აფასებდა განსხვავებულ ენობრივ კულტურულ თვითმყოფადობას და ღირებულებებს, რომლებიც გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსებში მაგალითად ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები, რომლის შედეგში მითითებული იყო, რომ შეეძლო განსხვავებული ენობრივი კულტურული თვითმყოფადობა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა. ამდენად, ამ რეკომენდაციის საპასუხოდ ისინი ფიქრობდნენ, რომ საკითხი გათვალისწინებული იყო პროგრამაში და პროგრამის მიზანი გარკვეულწილად შეესაბამებოდა პროგრამის შედეგებს. თუმცა ბუნებრივი იყო, რომ ის გადაიხედებოდა და როდესაც პროგრამა აქტიური გახდებოდა, ისინი აუცილებლად ჩაასწორებდნენ. მეორე რეკომენდაციით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც აუცილებლად გასწორდებოდა, რადგან ეს ნამდვილად არ ყოფილა სტუდენტების ჩარიცხვისთვის განკუთვნილი ტესტი, უბრალოდ ის იყო პრეტესტი, რომელიც ისევ და ისევ მუშაობდა სტუდენტების სასარგებლოდ და ისინი გადააჯგუფებდნენ A და B ჯგუფში, რომ მიეწოდებინათ მეტი პრაქტიკული საათები A ჯგუფში მისულ სტუდენტებს, რათა მათ უკეთესად შეძლებოდათ მეორე ბლოკში შეესწავლათ სასწავლო კურსები. მესამე რეკომენდაციით, მეორე სემესტრში აუცილებელი იყო მოსმენის კომპეტენციების უფრო გაღრმავება. ისინი ეთანხმებოდნენ ამ რეკომენდაციას, მართალია პირველ სემესტრში ისინი ითვალისწინებდნენ სამეტყველო ფუნქციებს, როგორებიც იყო წერა, კითხვა, საუბარი და მოსმენა. მეორე სემესტრში უფრო მეტი წილი იყო გრამატიკის საკითხები, თუმცა როდესაც პროგრამა აქტიური გახდებოდა უფრო გაღრმავებდნენ მოსმენის სხვა პრაქტიკული დავალებებით და გამოიყენებდნენ საინტერესო მოსმენის მაგალითებს. მეოთხე რეკომენდაციით, სასურველი იყო შეფასების კომპონენტები ინდივიდუალურად ყოფილიყო მორგებული ცალკეულ კურსებზე სპეციფიკის გათვალისწინებით. მისი თქმით ამ რეკომენდაციას რექტორმა ნაწილობრივ უპასუხა. რეალურად ამ პროგრამას არ უმუშავია, ამიტომ ისინი მოქმედებდნენ ყველა იმ მეთოდით, რაც კანონით იყო გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტით გაანგარიშების წესისა და შოთა მესხიას სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. თუმცა როგორც კი პროგრამა აქტიური გახდებოდა, ისინი აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ამ რეკომენდაციას, რომ თითოეული შეფასება და კომპონენტი მორგებული ყოფილიყო ცალკეულ კურსებზე სპეციფიკის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მაღლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს და შეკითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაამატა, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული წერილის საფუძველზე მათ შეცვალეს პირველი რეკომენდაცია, ანუ ისინი არ ამბობდნენ, რომ სწავლის მიზნები არ იყო ასახული სწავლის შედეგებში, ისინი ამბობდნენ, რომ შესაბამისი თემატიკა ვერ იპოვეს.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ თავად დაწესებულებამაც აღნიშნა და მას იმედი ჰქონდა, რომ პროგრამა როდესაც დაიწყებოდა ისინი ამასაც გადახედავდნენ, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ მათ შემთხვევაში ყველას უსწავლია უცხო ენა და ალბათ ის ვერ გაიხსენებდა ლექციას, რომელზეც ის იყო, „ლაპარაკი, მოსმენა, წერა ან კითხვა.“ ეს იყო ერთიანი კოგნიტური პროცესი და ენის შესწავლაში დაყოფილი იყო არა წერა, კითხვა და მეტყველება, არამედ ქართული A1, ინგლისური A1 და ა.შ. და მას იმედი ჰქონდა, რომ ამასაც გადახედავდნენ იმიტომ, რომ ამის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობდა, რომ წერა ცალკე ისწავლებოდა და კითხვა ცალკე. ანუ ისინი გადააკეთებდნენ ევროპული ჩარჩოს მიხედვით. ლექცია ვერანაირად ვერ იქნებოდა კითხვაში.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ ასე გაწერა მათ უკარნახა მათ გამოცდილებამ, მათ ჰქონდათ უცხო ენის მომზადების ცენტრი, რომელიც სთავაზობდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ენებს და ამ ცენტრის ფარგლებში ხორციელდებოდა ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლება, ცენტრს ჰქონდა სინქრონული სწავლების ძალიან საინტერესო გამოცდილება, მოსმენის, ლაპარაკის, ონლაინ ჩართულობის ბოლო დაახლოებით 5 წლის განმავლობაში.

საბჭოს წევრ ნიკოლოზ კიკნაძემ ხაზი გაუსვა, რომ ეს იყო რეგიონალური უნივერსიტეტი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კონფლიქტურ რეგიონთან სიახლოვის გამო. მას გაუკვირდა, როდესაც 7 წლის განმავლობაში დაწესებულებას არ ჰყავდა სტუდენტები. როდესაც ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას აფასებდნენ, მათ ჰყავდათ სტუდენტი აფხაზეთიდან. მისი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, რამდენად ცდილობდა უნივერსიტეტი მოეზიდა აფხაზურენოვანი სტუდენტები, რა ღონისძიებებს ატარებდა ამ მიმართულებით. აფხაზურენოვან სტუდენტებს ჰქონდათ ენობრივი ბარიერი და საცხოვრებლის პრობლემა ერთის მხრივ უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა კამპუსით და ამ პრობლემას ხსნიდა და მეორე მხრივ სხვა რა მცდელობები იყო დაწესებულების მხრიდან სტუდენტების მოსაზიდად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო უნივერსიტეტის მთავარ მისიაში ყველაზე დიდი პოლიტიკური გზავნილი. უნივერსიტეტს ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი პოლიტიკური გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული სტუდენტების მხარდასაჭერად. რაც შეეხებოდა აფხაზი ბავშვის მოზიდვის თემას, აღნიშნა, რომ ნეტავ მართლაც მხოლოდ ენის ბარიერი ყოფილიყო. ეს, რომ უნივერსიტეტის გადასაწყვეტი ყოფილიყო, მათ ძალიან ბევრი აფხაზი სტუდენტი ეყოლებოდათ. მისი ინფორმაციით ბევრი იყო ისეთი ვისაც სურდა განათლება მიეღო, მაგრამ აქ მთავარი პრობლემა ენობრივ ბარიერში არ იყო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია ეროვნულ-კულტურული ღირებულებების გაცნობა და ინტეგრაცია, რაც აისახება კურსის „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა)“ ფარგლებში მისაღწევ შედეგებში შემდეგი ფორმულირებით - შეუძლია განსხვავებული ენობრივ-კულტურულ თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობა, დაფასება და პატივისცემა. კურსის „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა)“ ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ისეთი თემატიკა, რომელიც მიმართული იქნება ზემოაღნიშნული კომპეტენციის განვითარებაზე.

ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ასევე შიდასაუნივერსიტეტო ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტი. აღნიშნული ტესტირება არ წარმოადგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, არამედ ის უკვე ჩარიცხულ პირთა A და B ტიპის ჯგუფებში განაწილების ინსტრუმენტია მათი ენის ფლობის დონის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, პროგრამის

აღწერაში გამოიყოს ცალკე გრაფა, ჩარიცხულ პირთა ჯგუფებში განაწილების პრინციპის შესახებ ინფორმაციისთვის ან ის მიეთითოს პროგრამის სტრუქტურის ნაწილში შენიშვნის სახით. ასევე შესაძლებელია, იმავე გრაფაში (პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გრაფა) შენიშვნის სახით გამოიყოს ეს ინფორმაცია და მიეთითოს, რომ აღნიშნული ტესტირების შედეგების საფუძველზე მოხდება უკვე ჩარიცხული სტუდენტების A და B ჯგუფებში გადანაწილება;

გ) ვინაიდან პროგრამის მიზანი სხვა ენობრივ უნარებთან ერთად სტუდენტებში მოსმენის უნარის განვითარებაცაა, მეორე სემესტრისთვის განსაზღვრულ მოდულში დაემატოს მოსმენის კომპეტენციის განმავითარებელი კურსი ან ამავე სემესტრში განსაზღვრულ კურსებში დაემატოს მოსმენის კომპეტენციის განმავითარებელი თემატიკა;


დ) შეფასების კომპონენტები ინდივიდუალურად იყოს მორგებული ცალკეულ კურსებზე სპეციფიკის გათვალისწინებით. ვინაიდან პროგრამა პრაქტიკულ კურსებს მოიცავს, ხშირ შემთხვევაში გაუგებარია რას მოიცავს თეორიული ცოდნის შეფასება მსგავს კურსებში. სასურველია, მაგალითად, მოსმენის კურსში შეფასდეს მოსმენის კომპეტენციები. წერის ან კითხვის კურსშიც ინდივიდუალური შეფასებები იყოს გაწერილი.

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მიანიჭა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა

